საქართველოს მთავრობის

დადგენილება №177

2018 წლის 12 აპრილი

ქ. თბილისი

სსიპ – ქართული სპორტის მუზეუმის სსიპ – საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან მიერთების გზით რეორგანიზაციის შესახებ

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1

რეორგანიზებულ იქნეს სსიპ – ქართული სპორტის მუზეუმი სსიპ – საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან მიერთების გზით. სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი ჩაითვალოს სსიპ – ქართული სპორტის მუზეუმის უფლებამონაცვლედ.

მუხლი 2

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და სსიპ – საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა უზრუნველყონ დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად რეორგანიზაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ნოემბრის №637 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/11/2014, 040030000.10.003.018256) და დადგენილებიდან ამოღებულ იქნეს დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-2 პუნქტი.

მუხლი 4

ამ დადგენილებით გათვალისწინებულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები დასრულდეს 2018 წლის 1 ივნისამდე.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**